საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1207

12/12/2019

ქ. თბილისი

„ინდ. მეწარმე „ივანე გავაშელიშვილზე“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 15 ოქტომბრის №1506 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2019 წლის 7 ნოემბერს სამინისტროს განცხადებით მომართა ი/მ „ივანე გავაშელიშვილმა“ და ითხოვა სამინისტროს მიერ 2007 წლის 9 ოქტომბრის №35 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2007 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ი/მ „ივანე გავაშელიშვილის“ გაჯის წარმოებაზე გაიცა სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (№35; 09.10.2007) და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (№00092; 15.10.2007).

განცხადებაში აღნიშნულია, პრობლემების გამო საწარმო ვეღარ აგრძელებს საქმიანობას. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა ნებართვის გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ი/მ „ივანე გავაშელიშვილის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ინდ. მეწარმე „ივანე გავაშელიშვილზე“ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2007 წლის 15 ოქტომბრის №1506 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ი/მ „ივანე გავაშელიშვილს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ „ივანე გავაშელიშვილის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი